რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და სადამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული. შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ. ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

---

ქ. ქუთაისი
ქალაქის თეატრი
ქართული დრამატ. საზოგადოების დასის
რ ე პ ე რ ტ უ ა რ ი
მესამე წარმოდგენა
კვირას, 10 ნოემბერს

## ჟან-ბოდრი

კომედია 4 მოქმედ. თარ. ფრანგულიდგან.

ამ პიესებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ხვალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, ჩხეიძისა, ივანიძისა. ბ-ნი: აბაშიძე, უიფიანი, მარჯანიშვილი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, ნემო, გიორგაძე, თამაზიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი—კ. შათირიშვილი.
(10—ფ.—6)

---

# ექიმი
## უ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

---

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").
6 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მმართველი სტატს-სეკრეტარი რენენკამფი.

**ვენა.** დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე წაბრძანდა ვარშავაში.

**ვენა.** ,,Fremolenblatt" სწერს ,,გოგენლოესა და მარშალის მიერ რეიხსტაგში წარმოთქმულმა სიტყვებმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს თავისის სიმარტივით და წყნარის კილოთი. მრავალგვარმა მოსაზრებამ იმ მნიშვნელობისა, რომელიც აქვს სხვა და-სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს ურთიერთის დამოკიდებულებისთვის, მისცა ამ სიტყვებს სახელმწიფო ხასიათი. გერმანიასთან კავშირის მქონე სახელმწიფონი დარწმუნდებიან, რომ გერმანიას სურს განაძლიეროს თვისი კავშირი ავსტრიასა და იტალიასთან და ამის გამო სრულს ნდობას გამოუცხადებენ გერმანიის პოლიტიკას.

**ლონდონი.** ,,Morning Post" ამბობს, რომ გოგენლოეს სიტყვა ძლიერ თავ-დაჭერილიაო. რაც შეეხება მარშალის სიტყვას, იგი აშკარად ამტკიცებს, რომ მთავრობას კარგად ესმის, რა სარგებლობა მოუტანა მას ზოგიერთ სახელმწიფოს პოლიტიკის გამოაშკარავებამ. ,,Times"-ი ამბობს, რომ მთავრობამ შეასრულა თავისი დაპირება, ბისმარკის გამოაშკარავების შესახებ არაფერი ითქვა ისეთი, რაც ყველამ არ იცოდა. მას შემდეგო,—განაგრძობს გაზეთი,—რაც გერმანიის მთავრობამ უარჰყო უაზრო ხმები, ვითომ ინგლისს გავლენა რამ ჰქონიყოს გერმანიის პოლიტიკაზედ, იმედი გვაქვს, რომ აღარავინ დაიჯერებს ამ უსაფუძვლო ხმებს. რეიხსტაგის კამათობამ აშკარად დაამტკიცა, რომ სამთა კავშირი მეტად ძლიერია. ,,Daily Nevs" ამბობს, რომ კამათობას არავითარი შედეგი არ მოჰყვაო. საიდუმლო კავშირი არ იყო საშიში; მას უფრო საგერი ხასიათი ჰქონდა და ამიტომ არავის შეეშინდა მისი. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ ბისმარკს კიდევ დიდი ძალა აქვს გერმანიაში, განსაკუთრებით სამხრეთისაკენ. ,,Stand"-ი სწერს, რომ მარშალისა და კანცლერის სიტყვები დიდის სიფრთხილით იყო წარმოთქმული და აწინდელ ვითარებას შეეფერებოდაო.

**ფილიპოპოლი.** კონეაში უპოვნიათ აფიშები, რომლებიც მაჰმადიანებს ქრისტიანებთან საბრძოლველად იწვევენ.

**ნიუ იორკი.** რიო-ჟანეიროდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იტალიისა და ბრაზილიას შორის უთანხმოება თავიდგან იქმნა აცილებულიო.

**პეტერბურგი.** 6 ნოემბერს, იმპერატრიცა ეკატერინე მეორის გარდაცვალების ასის წლის შესრულების დღეს გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი; საეკონომიო საზოგადოებისა და სამთო ინსტიტუტში მოხდა კრებები განსვენებულ იმპერატრიცას სახელის მოსაგონებლად.

**ლონდონი.** ბალფურმა როჩდალში სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა, თუ სომეხთათვის რამე გაკეთდება, მხოლოდ მთელის ევროპის თანხმობით უნდა მოხდეს ესაო და ეს-კი ძნელად რომ მოხერხდეს, რადგანაც ყველა ექვსი სახელმწიფო ამ ქამად ეჭვის თვალით უყურებს ერთმანერთსა. მთელის ქვეყნისათვის დიდი უბედურება იყო, რომ საზღვარ გარედ სულ სხვა გვარად ახსნეს ინგლისის სურვილი. ინგლისი ევროპის სურვილის წინააღმდეგ ვერ მოიქცევა. ომი რომ დაუწყოს ოსმალეთს, ამით სომხებს ვერაფერს შეჰმატებს და მხოლოდ თითონ ჩავარდება დიდს განსაცდელსა და პასუხის გებაში.

**ალექსანდრია.** სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხაზინის მმართველობა უკანონოდ მოიქცა, როდესაც სათადარიგო თანხიდგან ნახევარ მილიონი ფული გაიღო დონგოლის ექსპედიციისათვის. 12 ნოემბერს უმთავრესი სტატს-სეკრეტარი თავისს აზრს გამოაცხადებს ამ საქმის შესახებ. 26 ნოემბერს სასამართლო დაადგენს თავის განჩინებას.

---

## ახალი ამბავი

⁂ ქალაქის გამგეობამ 5 ამ თვეს გაათავა ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა. შემოსავალი აღრიცხულია 1.097,800 მანათი, ხოლო ხარჯი 1.250,000 მანათამდე. ამ სახით დეფიციტი აღემატება თხუთმეტიათას თუმანს. მიზეზი ამოდენა დეფიციტისა ის არის, რომ წელს საბჭომ სამერმისოდ გადადო ხარჯი ექვსი ათას თუმნამდე, გარდა ამისა მერმის ქალაქმა უნდა გაიღოს ხარჯი, დანიშნული ყორღანოვის მილის წყლის გამოსასყიდლად. ეს ხარჯიც გასტანს ექვსი ათას თუმნამდე. სამი ათასი თუმანიც ქალაქის მამულების ხელმეორედ დაფასებისათვის. ამ დეფიციტის გასტუმრებას გამგეობა ჰფიქრობს შემდეგის კომბინაციებით: გადასდოს ქალაქის დაფასება საგაისოდ; მოუმატოს სახლების დაფასების ხარჯს ერთი მეოთხედი პროცენტისა და აიყვანოს მთელ პროცენტამდე, რადგან ეხლა მხოლოდ ³/₄ პროცენტია დანიშნული; მოუმატოს საყასბოს გარდასახადს ერთი მეხუთედი და შეამოკლოს ზოგიერთი წვრილი ხარჯები. ამ კომბინა-

ციებით შესაძლებელ იქმნება ხარჯთაღრიცხვის შესრულება უდეფიციტოთ.

*** კომისიამ, რომელიც ტფილისში დაწესებულია მცხოვრებთა აღწერისათვის, გუშინ წინ წარუდგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს სია 17 გამგე პირთა.

*** ამ დღეებში ვერის სომხთა სასაფლაოს ახლოს ერთს სახლში ხუნაგით ავადმყოფი აღმოჩნდა. ავადმყოფის სახლში მაშინვე დეზინფექცია მოახდინეს; იმ ეზოში, სადაც ავადმყოფი აღმოჩნდა, ჰყოლიათ რავდენიმე ძროხა, რომლის რძეც ქალაქში მოჰქონდათ თურმე გასასყიდლად. ძროხები მაშინვე გამოიყვანეს ახლო მახლო სახლებიდგან და ცალკე დააბინავეს.

*** კავკასიის რკინის გზის მმართველობას 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში სხვათა შორის დაუნიშნავს ორი ათას თუმნამდე განჯის სადგურზე მართალ-მადიდებელთა ეკკლესიის ასაშენებლად.

*** კავკასიის რკინის გზის მმართველობას გამოუწერია სამი თოვლის ასაღები მანქანა, ორი უმთავრესის გზისათვის და ერთი კი ჭიათურის რკინის გზის შტოსათვის. ეს მანქანები საჭირო იქნება იმ დროს, თუ ამ ზამთარს, ანუ შემდეგ, ისე დიდი თოვლი მოვიდა რკინის გზაზედ, როგორც შარშან.

*** ჩვენს გაზეთში მოხსენებულ იყო, რომ ამას წინად რკინის გზის ტელეგრაფის ერთმა მოხელემ ბ-ნმა ანოხინმა წარუდგინა რკინის გზის უფროსს ინჟინერ ვედენეევს თავისი პროექტი შესახებ ორ საქონლის საწყობ ვაგონებში ელექტრონულ გასანათებელ მანქანების, დინამო ელექტრონის შემოღებისა. ამ გვარი მოძრავი ელექტრონული სადგურები საჭირო იქნება იმ დროს, როდესაც რკინის გზა სადმე გაფუჭდება და მის გაკეთებას, დღის გარდა, ღამითაც მოუნდებიან. პროექტი პეტერბურგში გაჰგზავნეს და, როგორც ეხლა იქიდგან იუწყებიან, გზათა მინისტრს ფრიად მოსწონებია და ნება დაურთვია ორი ელექტრონულ სადგურის გამართვა საქონლის ვაგონებში.

*** ამ დღეებში ტფილისის გაზეთებში მოხსენებულ იყო, რომ ყარსის რკინის გზის ამშენებელი უფროსი ინჟენერი ბ ნი ვურცელი პეტერბურგს არის მიწვეულიო. ბ-ნი ვურცელი, როგორც ჩვენ შევიტყეთ, პეტერბურგს დაუბარებიათ გამოსაკითხად: რათ გვიანდება ყარსის რკინის გზის გაყვანა, რატომ აქამდე ამ გზის პირველ განყოფილებაში არ დაიარებიან მატარებლები, რატომ მომუშავეთ თავისს დროზედ არ აძლევენ ფულს, იმედი აქვს თუ არა სამის წლის განმავლობაში დაასრულოს ყარსის რკინის გზის გაკეთება და სხვ. და სხვ. ბ ნს ვურცელს განუზრახავს გამოუცხადოს გზათა მინისტრსა, რომ გადადებული ფული ამ გზის ასაშენებლად არა ჰყოფნის, და ბევრნი მოიჯარადრენი მუშაობას თავს ანებებენ, რადგანაც ზარალობენ.

*** ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ზაქარია ჩხიკვაძისაგან შემდეგი წერილი:

თქვენს პატივცემულ გაზეთის მე-13 №-ში დაბეჭდილია მცირე შენიშვნა ჩემი კრებულის შესახებ ბ. ხევის-უბნელისა, სადაც იგი მისაყვედურებს, რომ „ღმერთო, ღმერთო“ და „თეთრო ბატო« ისე არ არის გადაღებული, როგორც ხალხი მღერისო. «ეტყობა იმისთანა პირისაგან გაუგონია, რომელსაც არა სცოდნია კარგად „ღმერთო, ღმერთო«-ვო და ... ნ გაგონებასა და გადაღებას შუა კარგა ხანი გასულაო“. ამის შესახებ ბ. ხევისუბნელს მოვახსენებ, რომ „ღმერთო, ღმერთო« მიმღერა მღვდ. პ. კარბელაშვილმა ს. ვურჯაანში, თავის სახლში, იქვე დავწერე იმის თვალ-წინ ნოტებზედ და ვიმღერე კიდეც კარბელაშვილთანვე ყველა ხმები რიგ-რიგად. ეს მოხდა 1889 წ. 18 აგვისტოს .მას აქეთ, რადგან ეს სიმღერა კახეთში არსად გამეგო, ვცდილობდი ქართლში სხვა პირებისგანაც გამეგო და აი ამას წინეთ გორის მაზრაში გავიგონე ეს სიმღერა სწორედ ისე, როგორც დამაწერინა პატივცემულმა პ. კარბელაშვილმა. მე ნება არა მქონდა ეჭვი შემეტანა მღვდ. პ. კარბელაშვილზედ, რადგან იგი უკეთესი მცოდნეა როგორც საეკკლესიო, ისე ძველი საერო სიმღერებისა და დავბეჭდე ისე, როგორც გავიგონე მისგან. ისიც ცხადია, რომ სიმღერის გაგონებასა და გადაღებას შუა ძალიან დიდი ხანი არ გასულა: სულ ხუთი წამი.

ან შეიძლება მეორე «ღმერთო“-ზედ ბრძანებდეთ, რომელსაც კახეთში მღერიან ხშირად, როცა მეფეს სამეფო ტანისამოსს აცმევენ. ის სიმღერა უფრო რთულია, და არასფრით არ წააგავს ამ „ღმერთო, ღმერთო“-ს. იგი უფრო სხვა კახურ სუფრულ სიმღერებს ჩამოგავს.

რაიცა შეეხება „თეთრო ბატო«-ს, მართალია ბევრნაირად მღერიან, მაგრამ ჩემს კრებულში შევიტანე ის მოტივი, რომელიც ძალიან დაახლოვებულია ყოველნაირ «თეთრო ბატო“-სთან. ისიც-კი ... უნდა ... ვსთქვათ, რომ თუმცა ათასნაირად მღერიან ამ სიმღერას, მაგრამ კილო ყოველგან ერთი და იგივეა.

ყოველ შემთხვევაში ბ. ხევისუბნელს და სხვებსაც უმორჩილესადა ვსთხოვ, თუ რამე ნაკლულევანება ნახონ ჩემგნით დაწერილ სიმღერებში, ცხადად მიჩვენონ, თუ რაშია შეცდომა: მთელი სიმღერა არის შეცდომით დაწერილი, თუ რომელიმე მუხლი სიმღერისა, რათა შეიძლებოდეს შემდეგში ან მათივე დახმარებით, ან ვისზედაც ისინი მიგვითითებენ, შევასწოროთ შეცდომა.

დასასრულ, უმორჩილესადა ვსთხოვ ბ. ხევისუბნელს, თუ დრო ნებას მისცემს, მობრძანდეს ჩემთან, ან მე თვითონ ვეახლები მას, რომ მიჩვენოს შეცდომები ჩემგნით დაწერილ სიმღერებისა, თუ იგი მართლა მცოდნეა ძველ სიმღერებისა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც თვითონ ბრძანებს, ძალიან ცოტა სიმღერებია ქართული ნოტებზედ დაწერილი და ესეც თუ ეხლავე მცოდნე პირთაგან არ შესწორდა, სასურველ სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

მე დიდის მადლობით და სიამოვნებით შევასწორებ ყველა ჩემ შეცდომას, რადგან აქ სათაკილო არა არის რა, რამეთუ ყველანი ცოდვასა შინა შობილვართ.

*** ჩვენ გვთხოვენ შევასწოროთ შემდეგი ამბავი: გაზ. „კავკაზის« მე 202 №-ში დაბეჭდილია ბ. ილ. ხონელის ფელეტონი, რომელშიაც ავტორი ოსტატურად მოგვითხრობს კახეთის მომავალ რკინის გზის ისტორიას. ეს მოთხრობა „ნამდვილთან სწორეა“ იმ დრომდე, ვიდრე მოთხრობა შეეხება საქმის დასაწყისს,

---

ვაჭრების საყურადღებოდ.

**როტშილდები**

**და**

**მათი ვაჭრობა.**

**III *)**

უკანასკნელი ომი ნაპოლეონსა და ინგლისთან შეერთებულ სხვა სახელმწიფოთა შორის უნდა მომხდარიყო პატარა სოფლის ვატერლოოსველზედ. ამ ომს უნდა გადაეწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ ნაპოლეონს შერჩებოდა თუ არა საფრანგეთის ტახტი. მთელი ევროპა გაფაციცებით ადევნებდა თვალს ნაპოლეონის ჯარის გადასვლა-გადმოსვლას, ინგლისელების ჯარის უფროსის კელინგტონის მანევრებს და გერმანელების ჯარის მთავარის ბლიუხერის დანიშნულ ალაგას ჩქარა მისვლას. მაგრამ არსად იმედი არ ჰქონდათ, რომ ნაპოლეონი დამარცხდებოდა. ინგლისში სრულებით დარწმუნებულ იყვნენ, რომ ნაპოლეონი გაიმარჯვებსო და ყველა ბანკირები ცდილობდნენ მალე და დამცირებულ ფასებში გაეყიდნათ სარგებლიანი ქაღალდები! ნატან როტშილდი? მარტო ამას ჰქონდა რაღაცის იმედი და ჩუმათ თავის აგენტების საშუალებით ყიდულობდა ფას-დაცემულ ქაღალდებს. მან გაიჩინა საკუთარი მტრედის ფოსტა, რომ ომის ველიდგან ყველაზედ წინეთ მას მოსვლოდა ამბები... მაგრამ არც ამ ფოსტას ერწმუნა და განიზრახა თვითონ ინგლისიდან საფრანგეთში წასვლა და თავის თვალით უნდოდა ენახა თუ რა ხდებოდა ომის ველზედ. ბირჟაზედ ხმა დაავდო, რომ ავათ არის, რადგან ყველა იკითხავდა სად არის ნატან როტშილდიო, როდესაც ბირჟის ერთ-ერთ დიდ ქვის სვეტთან ჩვეულებრივათ ატუზულს ვერ დაინახავდნენ... აგენტებს დარიგება მისცა და თვითონ-კი გასწია საფრანგეთში—ვატერლოოსაკენ.

ომის დაწყებამდის ეს სიცოცხლით სავსე კაცი ხან ერთს სარდალს მიჰმართავდა კითხვებით, ხან მეორეს—ცდილობდა გაეგო, როგორი ბოლო იქნებოდა, მაგრამ გადაწყვეტით ვინ რას ეტყოდა...

დაიწყო ომი... ნატანი მაღლობ ადგილიდამ თვალს ადევნებდა ომს... და როდესაც დაინახა, რომ უძლეველი ნაპოლეონის გვარდია უკან დაიხია და გარშემო მტერი შემოესია... მაშინვე გამოექანა ველიდგან და ინგლისისაკენ გაეშურა... ნატანი დარწმუნდა, რომ ნაპოლეონის ვარსკვლავი ჩაქრა... ის ველარ იმეფებს, რადგან ომს წააგებს უსათუოდ... თითქმის ღამდებოდა, როდესაც ის ველიდამ მიიჩქაროდა—ზარბაზნების ქუხილი გრგვინვასავით ესმოდა!..

ეს ღამე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდებაო, იძახდა იგი ყოველთვის..

მიაღწია ბრიუსელს, ბელგიაში... აქ ძლივს იშოვნა ცხენები და ეტლი... უნდოდა რაც შეიძლებოდა მალე მისულიყო ოსტენდეში ლამანშის კიდეზედ... დაქანცული უძილობით და დაღლილი მოადგა ლამანშს.—არ აპირებს შესვენებას, უნდა იშოვნოს გემი ან ნავი, რომ გადვიდეს ლამანში და ინგლისში ამოყოს თავი... საძაგელი ამინდი იყო... გემი არსად ჩანდა... ნატანი ევედრება მენავეთ... თუ გაბედავთ და გადამიყვანთ ამ წყალს 500 ფრანკს მოგცემთ... არავინ სთანხმდება... ნატანი უმატებს ფულს და ადის 2000 ფრანკამდის—სხვა დროს-კი ლამანშზე ნავით გადასვლა 10 ფრანკათ ღირს. ერთი მენავე სთანხმდება იმ პირობით, რომ ფულები ჩაბარდეს იმის ცოლს... ნატანი ნავშია, წყლის ტალღებმა ხან იქით გაისროლეს პაწია ნავი და შიგ მჯდომი, 500—600 მილიონის პატრონი, ნატან როტშილდი და ხან აქეთ... დიდის გაწვალებით სალამოზედ ნავი მიადგება ინგლისის კიდეს დუვრს... ნატანმა იცის, რომ დუვრში კარგი სასტუმროებია, კარგათ შეიძლება დაძინება

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 19.

იმ ხანას, როდესაც თავად-აზნაურთა კომისიამ სამინისტროს სთხოვა, რომ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას კახეთის რკინის გზის გაყვანის უფლება—კონცესია მიეცეს, აგრეთვე სარგებლის გარანტიაც. ხოლო დანარჩენს მოთხრობაში უმთავრესი ცნობები ჩვეულებრივ შემცდარია.

1, თავად-აზნაურთა თხოვნაზედ მთავრობამ უარი გამოაცხადა ხოლოდ სახელმწიფო გარანტიაზე და არა უგარანტიო კონცესიაზედ, როგორც ბ. ხონელი ბრძანებს; 2, ჩვენი თავად-აზნაურობა იმისი წინააღმდეგი იყო, რომ რკინის გზის გაყვანის საქმე კერძო პირთაგან შემდგარ ამხანაგობას ჩაევდო ხელში და ეს იმიტომ-კი არა, რომ ეს პირები არ მოსწონდა ვისმეს, როგორც ბ. ხონელი ამბობს, არამედ იმიტომ, რომ ამხანაგობას კერძო პირთა კნული სარგებლობა ჰქონდა სახეში, თავად-აზნაურობას-კი განზრახვა აქვს, რაც-კი მოგება იქნება ამ გზისაგან—საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იქმნას გადადებული; და 3, ბ. ხონელი სწერს, რომ რკინის გზის გაყვანა ისე, როგორც თავად-აზნაურთა კომისიამ განიზრახა, ქვეყნის სასარგებლოდ-კი არ იქნება გაყვანილი, არამედ ზოგიერთ კერძო პირისა, ზოგიერთ კნეინა და კნიაჟნას სასარგებლოდო, და ამას ბძანებს იმ კომისიაზედ, რომლის წევრთა უმრავლესობა შემდეგში იმ ამხანაგობის უმეტესობას შეადგენდა, რომლის გაუქმება სამწუხაროდ მიაჩნია თვითონ ბ-ნ ხონელს.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ალექსანდრე თოიძისაგან შემდეგი წერილი: „ცნობის ფურცელში“ (№ 18) მოყვანილია სჯა, რომელიც ჰქონია ქალაქის საბჭოს 4 ნოემბერს შესახებ მუშათა სამკურნალოს გამართვის და მისთვის ახალ გადასახადის შემოღებისა.

ქალაქს სურს მუშებს წელიწადში ერთი ან ორი მანათი გამოართვას და შემდეგ მუშებსვე ავათმყოფობის დროს უფულოთ უაქიმოს. რა საჭირო და სასარგებლოა ამგვარი დაწესებულება, ამაზედ ლაპარაკი მეტათ მიმაჩნია, ისე ცხადია საავათმყოფოს დაარსების მნიშვნელობა. აქ მინდა მარტო იმისი თქმა, რომ, იმედია, ქალაქს სახეში მარტო, ეგრედ წოდებული, უბრალო დღიური მუშები არ ჰყავს, არამედ იქ მიიღებენ ქალაქში მცხოვრებ მოსამსახურეთაც, რომელთა უნუგეშო მდგომარეობა ყველასათვის ცხადია, მეტადრე უბინაობის, ე. ი. უადგილობის დროს. რადგან ბოლოს მიხეილის საქალაქო საავათმყოფოში, როგორც თვით მოსამსახურენი ამბობენ: „სამოთხეში უფრო ადვილია კაცი მოხვდეს, მინამ ქალაქის საავათმყოფოშიო“. რაიცა შეეხება გადასახადს, მოსამსახურენიც დიდის სიამოვნებით იკისრებენ შეძლების და გვარად, მაგრამ უსამართლობა იქნება, რომ მარტო მუშებმა და მოსამსახურეთა იხადონ და მონაწილეობა არ მიიღონ იმათ, ვის სამუშაოზეც ძალ-ღონეს ალევს მუშა და მოსამსახურე: არავისთვის დამალული არ არის ის გარემოება, რომ სახლებში მოსამსახურეთ აქვთ ერთობ უვარგისი ბინა და მეტი ნაწილი იმიტომ ხდება ავათ, რომ ან უკარო ოთახებში სძინავთ, ან ფარდალალა სადგომის ბრალია, რომ თითქმის სამი მეოთხედი ავათმყოფთა მოსამსახურეთა ფილტვებით არიან ავათ.

*** დ. ახალ-სენაკიდგან გვაცნობებენ, რომ ჩვენის პატივცემულ მწერლის და მოღვაწის, აწ უკვე განსვენებულ, თავ. ნიკოლოოზ ტარიელის ძის დადიანის რუსეთიდან ახალ-სენაკში მოსვენების დროს, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო როგორც ახალ-სენაკიდან, აგრეთვე ახლო-მახლო დაბა-სოფლებიდგან. 22 ოქტომბერს, სახალხო მატარებელით ფოთიდამ ჩამოასვენეს მიცვალებულის ცხედარი. მრავალი ქალი და კაცი მწარედ სტიროდა, ზოგიერთებს თვალებიდგან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოდიოდათ და მწარედ ქვითინებდნენ. რკინის გზის სადგურზედ დაუხვდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა ხორო. ადგილობრივმა ბლაღ. მღ. მ. არისტარხოს კალანდარიშვილმა, რამდენიმე მღვდ. თანადასწრებით პანაშვიდი გადაიხადა. შემდეგ ამისა, ბ-ნმა ტრიფონ ა. კალანდარიშვილმა გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის შესახებ და აგრეთვე მაზედ, თუ სამეგრელოს რამდენად შველოდა მედიცინითაც...

ახალ-სენაკის საზოგადოებამ ერთის ვერსის მანძილზე გააცილა ცხედარი.

*** ჩვენ გვწერენ ზუგდიდიდამ: საზოგადოდ მთელ ზუგდიდის მაზრაში წელს ძალიან ცუდი მოსავალი იყო სიმინდისა... ეს დანაკლისი რომ შარშანდელს წყალ-დიდობისა და თოვლიანობისაგან დაზარალებულთა ზედ დაუმატოთ, გასაკვირი აღარ იქნება, რომ სამეგრელოის მკვიდრნი ძლიერ დაეცნენ ნივთიერად და უფრო დიდს სიღარიბეს და გასაცდელს მოელიან მომავალშიაც. შარშანდელმა ზამთარმა ზოგი ოჯახი ისე წალეკა და და მხო პირ-ქვე, რომ მისი ფეხზედ წამოყენება თითქმის შეუძლებელია, თუ საზოგადოებამ გულ-მხურვალე მონაწილეობა არ მიიღო დაზარალებულთა შესაწევნად და თუ მთავრობამაც შეღავათი არ მისცა სხვა-და-სხვა ბეგარებში. ზოგიც იმდენად ნაზარალევია, რომ აუცილებლად საჭიროა 7—8 წელიწადი მაინც მომეტებული მეცადინეობა და ჯაფა, რომ ფეხზე წამოდგნენ. ისეთი ოჯახი არ არის, რომელსაც არა ეზარალნოს-რა. თითქმის მთელი მაზრა დაზარალებულია.

ეხლა კიდევ ზედ მიდით ის გარემოება, რომ აქამდის ყოველ წლივ ოთხ მილიონ ფუთზედ მეტი სიმინდი გადიოდა სამეგრელოდამ საზღვარგარეთ, და ეს რომ ფულად ვიანგარიშოთ, უკანასკნელი, ორი მილიონი მანათი რჩებოდა მუშათა და მემამულეთა სასარგებლოდ. ეს სამი-ოთხი წელიწადია, რაც მეტის-მეტად იკლო სიმინდის ვაჭრობამ და წელს აბაზადაც არავინ ყიდულობს ფუთს, რადგან საზღვარ-გარეთ თითქმის აღარ თხოულობენ სიმინდსა და ამიტომ შარშანდელის მოსავლიდამ დიდის ვაი-ვაგლახით და თითქმის მუქთად ძლივ ძლივობით გაასაღეს ერთ მილიონ ფუთამდე სიმინდი. ამ წლის მოსავლიდამ ამ ბედნიერებასაც მოკლებულნი იქმნებიან, თუ რამ მანქანებით არ გამოიცვალა სიმინდის მაზანდა და მოთხოვნილებამ თუ არ იმატა *).

*** ს. საჭილაოდან (სენაკის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ ადგილობრივმა საზოგადოებამ დააწესა და მართებლობამაც შეიწყნარა, რომ

*) რედაქციის შენიშვნა: მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ჩვენის გაზეთიდან რომ საზოგადოდ რუსეთში ხორბლეულობის ფასმა ძლიერ იმატა.

---

და დასვენება... მაგრამ ეს ამას არაფრარ აგდებს... მიეჩქარება ლონდონისაკენ—და მეორე დღეს იგი დგას ბირჟაზედ ჩვეულებრივად თავის საყვარელ სვეტთან ატუზული...

ისეთი შეწუხებული სახე დაიჭირა განგებ, თითქოს მთელი ქვეყანა ილუპებაო. ვინც დაინახა, ყველა დარწმუნდა, რომ აქ რაღაც ამბავია, და ამ დროს ბირჟაზედ გაისმა ხმა, რომ ვატერლოოს ომი ნაპოლეონმა მოიგო, ინგლისელები დამარცხდნო. ბირჟა აირია, ისეთი ამბავი ასტყდა, რომ გოლგოთა გეგონებოდათ. ყველა ცდილობდა ხელიდამ გაეშვა ინგლისის მომგებიანი და სარგებლიანი ქაღალდები.... და ეს კი სულ ნატან როტშილდის აგენტების საქმე იყო.. ამათ განგებ დააგდეს ხმა, რომ ნაპოლეონმა გაიმარჯვაო და როდესაც ას მანათიანი ქაღალდები 30 მანეთზე ჩამოვიდა, მაშინ როტშილდის საიდუმლო აგენტებმა ყველა ისინი შეისყიდეს. მეორე დღეს იმავე სვეტთან აიტუზა ნატანი... ახლა კი მხიარულის სახით, თვალები უბრჭყინავდნენ, ტუჩები დაცინვით ილიმებოდნენ... 12 საათზე ბირჟაზე მოვიდა მმართებლობის შიკრიკი და გამოაცხადაო რომ ინგლისმა ომი მოიგო... წარმოუდგენელია, რა მოხდა მაშინ! ყველა ის ბანკირები, ვაჭრები, ფულის მეპატრონენი, ბირჟაზე მოთამაშენი თხოულობდენ ინგლისის იმ სარგებლიან ქაღალდებს, რომელთაც ისე მცირე ფასებში ყიდდნენ გუშინ... ეს ქაღალდები კი ყველა ნასყიდი ხელში ეჭირათ ნატანის აგენტებს და გუშინ ნაყიდ 30 მანათად, დღეს ჰყიდდნენ 150—200 მანათად... ნატანი?.. ის ისევ უძრავად იდგა ბირჟის მარმარილო სვეტთან... ისევ ისე ტუჩების ცალ-კუთხე აბრეცით ილიმებოდა და ზეპირად ანგარიშობდა, რომ ის მარტო დღევანდელ დღეს მოიგებს ამ მანქანებით 10 მილიონ ოქროს!! იმას დარდი არა აქვს, რომ 10—15 ბანკირი გაკოტრდება დღეს, რამდენს ცოლ-შვილი აუტირდება, რამდენს შიმშილი მოელის, რამდენი ვერ გაუძლებს ჭირს და თავს მოიკლავს... ის ხედავს ხოლმე კარგათ, ამ სვეტიდგან სჭვრეტს, რომ მის სალაროში რამდენიმე ახალი ოქროთ ავსებული ტომარა შეაქვთ... ეს არის მხოლოდ ამისი ფიქრი, ამისთვის იღვწის.. ამისთვის ცბიერობს, ამისათვის არ სძინავს არც დღე, არც ღამე. აღელვებულ ზღვის ტალღებში პატარა ნავით მოსცურავს მხოლოდ ამისთვის, და სხვები ან სხვა თუნდა ქვა ქვაზედაც ნულარ დარჩენილა!!!

გამბედავი, ავი ენის პატრონი, ჯიუტი და მაგარი ხასიათის მქონე ნატანი ყველაფერს დაეპატრონა და დაებატონა ინგლისში... ის აღარავის დაზოგავდა არც ენით, არც საქმით თუ კი რომ საწინააღმდეგოს გაუწევდნენ; ნიმუშებს მოგითხრობთ:

1806 წელში მან მოინდომა ცოლის შერთვა და ერთ მდიდარ ურიას კორნს მისი ქალი სთხოვა... კორნი დასთანხმდა, მხოლოდ რამდენი შეძლება გაქვსთ მითხარითო... ამაზედ ნატანმა უპასუხა, რაკი ჩემ შეძლებაზედ ლაპარაკობ, შეგიძლია არა თუ ერთი ქალი მომათხოვო, არამედ ყველა შენი ქალებიო!...

მეორე შემთხვევა არის იმისი ბრძოლა ლონდონის სახელმწიფო ბანკთან. ერთ დღეს ნატან როტშილდსატყობინებენ, რომ იმისი ვექსილი ამ ბანკმა არ მიიღო და ასე გვითხრესო, რომ ჩვენი ბანკი გარეშე პირების ვექსილებს არ ახურდავებსო...

— გარეშე პირებისო?!.. წამოიძახა როტშილდმა—მაშ კარგი, მე იმათ ვ ჩვენებ, თუ როგორი გარეშე პირები არიან როტშილდებიო!... დაუძახა თავის აგენტებს და უბრძანა: ეხლავე ბირჟაზე გადით და რა ფასიც მოგთხოვონ მიეცით, ოღონდ ყველა ლონდონის სახელმწიფო ბანკის ბილეთები ან ქაღალდები ყველა ხელში ჩაიგდეთო... ბირჟაზე ყველას გაუკვირდა, რომ როტშილდის აგენტები ნაღდ ოქროთ ჰყიდულობდნენ ბანკის ქაღალდებს... ალბათ ოქროები აღარ დაეტია იმის სალაროში და ქაღალდებში ახურდავებსო... ნამდვილი ამბავი კი მეორე დღემდის ვერავინ გაიგო...

(შემდეგი იქნება)

სოფლისაგან ამორჩეულ ალაგს, რკინის გზის მახლობლად, მოკრებილიყო ყველა დუქნები, რომელნიც ამჟამად სოფლად განბნეულია სხვა-და-სხვა ადგილას; ზემოდ ხსენებულს ალაგს დააწესეს კვირაში ერთხელ ბაზრობა. ამ დადგენილებას არა თუ ადგილობრივთა მკვიდრთა, არამედ სხვა სოფლელებმაც დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს, რადგან ახლო-მახლო არსად არ იყო ისეთი ვაჭრობისათვის მოხერხებული ადგილი. რამოდენიმე დუქნები გადმოიყვანეს კიდეც და გააჩაღეს ვაჭრობა. ბაზრობის დღეს მახლობელ სოფელ კულაშიდან მოდიან მოვაჭრე ურიები და კმაყოფილიც არიან ვაჭრობისა, მხოლოდ საქმე ის არის, რომ რამოდენიმე მედუქნე ჯერ კიდევ არ გადმოსულა და ისევ გაბნეულნი არიან სოფელში, რის გამოც ბევრი უწესოება ხდება სხვა-და-სხვა მაწანწალა და უსაქმოდ მოხეტიალეთაგან. ამას წინად დახვდნენ კონსტანტინე ასათიანს და გაძარცვეს; რამოდენისამე დღის შემდეგ ნიკო სხვიტარიას გაძარცვა არ აკმარეს, დასჭრეს კიდეც.

ამას წინად აქ ჩამოვიდა კ. თავართქილაძე და წინადადება მისცა საზოგადოებას, რომ შემწეობა აღმოეჩინათ მისთვის და ის-კი იკისრებდა სოფელში აბრეშუმის საქსოვი ქარხნის გახსნას. ადგილობრივ კეთილშობილებმა მხურვალე თანაგრძნობა აღმოუჩინეს; დაიყოლიეს გლეხ-კაცობა და აირჩიეს საქარხანო ადგილიც. ზოგნი შეუდგნენ კიდეც ქარხნისათვის ადგილის შესაძენად საჭირო ფულის შეკრებას და საქმეც, იმედია, მალე დაგვირგვინდება კეთილად.

*** ჩვენ გვწერენ დ. სოხიდამ: (აფხაზეთი). წარსულ ღვინობისთვეში სოჩის (შვაჩეს) მკვიდრნი მხვერპლნი გახდნენ სოჩასა და მისს მიდამოში უსაქმურად მოწანწალე მუშა ხალხის თავგასულობისა. ერთი მუშა შევიდა აქაურ მეგრელის დუქანში, მოითხოვა არაყი და მანამ სვა, სანამ ჩაეტეოდა. დანახარჯის მიცემაზე-კი უარი უთხრა მედუქნე-მეგრელსა; ეს კი არა, შეურაცხყოფაც მიაყენა და საცემრადაც მიიწია. მაშინ კი ველარ მოითმინა მეგრელმა: თვითნება მუშტარი კარგად მიამქავა და უბოდიშოთ გარედ გაუძახა. „შენმა რა მიყოს, თუ სამაგიერო არ გადაგიხადეო“, მიაძახა მუქარით გალახულმა და ბარბაცით წავიდა.

მეორე დღეს, თურმე, შეჰყარა გალახულმა თავისივე მსგავსი უსაქმურები, ან, როგორც აქ ეძახიან, „ბოსიავკები“ და დაესხნენ თავს აქაურ ქართველობის მედუქნეებსა. ასტყდა თავგანწირვითი ბრძოლა. ქვები სეტყვასავით წამოვიდა დუქნებისა და შიგ მყოფებისაკენ. მეგრელებმა, როგორც შეეძლოთ, თავი დაიფარეს. მაგრამ მაინც დიდი ზარალი მიაყენეს მედუქნეებს. პოლიცია ფეხზე დადგა და მეგრელებმა იმავ ღამეს ყველამ სატუსაღოში ამოჰყვეს თავი.

მთელი ერთი კვირა მეგრელების დუქნები დაკეტილ იყო. ბოლოს, სოჩაში ჩვენი ცნობილი ნაფიცი ვექილი თ. ალ. ქოჩაქიძე მოვიდა საქმის გამოსაძიებლად და დაზარალებულებთა ინტერესების დასაცველად. იმედია, პატვცემული თავადი მხნედ მოჰკიდებს ამ საქმეს ხელს და უსამართლობას მალე გამოაქვეყნებს. აი საქმე როგორ იყო და არა ისრე, როგორც სხვა გაზეთებში სწერია.

*** ჩვენ გვწერენ, რომ ს. უდეში (ახალციხის მაზრა), ოქტომბრის 29 გარდაიცვალა ცნობილი ქველმოქმედი კაცი პავლე სტეფანეს ძე მერაბიშვილი; ამ ამბავმა შეაწუხა არა მარტო მისი ოჯახობა, არამედ მთელი სოფელი. მისის გვამის დაკრძალვაზედ მრავალმა ქვრივმა, ობოლმა და ღარიბმა დაღვარა ცხარე ცრემლი...

იმედია, რომ მერაბიშვილის შვილები არ დაივიწყებენ თავიანთ მამის უკანასკნელ სიტყვებს, რომელიც მან უთხრა, თურმე, შვილებს: „არ დაივიწყოთ ობლები, ღარიბები და საწყალი ხალხიო, არავითარი შემწეობა და წყალობა არ დაუშუროთო იმათა“.

---

## პოლიციის მატიანე

—

### საქალაქო

გუშინწინ, დილის ათ საათზედ, სერგიევის ქუჩაზედ, ბაგდანოვის სახლებში მცხოვრებმა ალათი ბერექინისამ ძველ ინსტიტუტის ქუჩაზე მეპურესთან პური იყიდა და ფულის ქისა ჯიბეში ჩაიდო. ამას უცბათ თვალი მოჰკრა თბილისის მოქალაქემ სარქისა პეტრუზოვმა, ჩაუყო ხელი ჯიბეში, ამოაცალა—ფული და გაიქცა. ერთმა მოხელემ ეს შენიშნა და პოლიციელს დაუძახა. პეტრუზოვი დაიჭირეს და პოლიციის მეოთხე განყოფილებაში წაიყვანეს.

—

გუშინ-წინ, საღამოს ხუთ საათზე, თავად-აზნაურობის ახალ შენობაზედ, განოვის ქუჩაზე, მესამე სართულიდგან გადმოვარდა მუშა, სურპ-კარაპეტის ქუჩაზე მცხოვრები, ჯულაბ ოგანესიანცი, საცოდავმა მძიმე ჭრილობა მიიღო თავში. დაშავებული ოგანეზიანცი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

—

ტფილისის მოქალაქე სიმონ ლამბაროვი, რომელმაც დასჭრა გეურქ აპრიამოვი, 6 ნოემბერს დააპატიმრა პოლიციამ და გაგზავნა გამომძიებელთან, შესაფერის ოქმით.

---

## შეცდომის გასწორება

ჩვენის გაზეთის მე 12 ნომერში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ მღ. ჩხაიძემ ლ ა ნ ჩ ხ უ თ შ ი დააარსა საკვირაო სკოლა და სამკითხველო. მღ. ჩხაიძემ ს. ზემო-აკეთში დააარსა თურმე სკოლა და სამკითხველოსაც იქ აარსებს.

---

## თეატრის მატიანე.

—

ქართული თეატრი. გუშინწინ ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა მ. საფაროვის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით ავ. ცაგარლის კომედია „ციმბირელი“ და ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“. ხალხი ნაკლებ დაესწრო წარმოდგენას. დაწვრილებითს რეცენზიას ხვალ დავბეჭდავთ.

—

რუსული ოპერა. გუშინ-წინდელმა წარმოდგენამ ახალს თეატრში ძრიელ სუსტად ჩაიარა. არდგენდნენ ვერდის ოპერას „რიგოლეტოს“. ჰერცოგის პარტიის მომღერალს რუბინშტეინს ბევრი უსტვინეს და უკიჟინეს უხეირო სიმღერისა და თამაშობისათვის. არც სხვები იყვნენ ხეირიანები. ორკესტრი და ხორო ჩვეულებრივ კარგი იყო.

—

მალოროსების დასი. ამ ცოტას ხანში ტფილისში ჩამოვა მალოროსების დასი ბ-ნი სუსლოვისა და სუხოდოლსკის ლოტბაროობით. დასში სხვათა შორის არის ძველი ნაცნობი საზოგადოებისა მომღერალი ქალი ზარნიცკაია. წარმოდგენები დაიწყება სათავად-აზნაურო თეატრში კვირას, 17 ნოემბერს.

---

## სასამართლოს მატიანე.

—

გუშინწინ, 6 ნოემბერს, თბილისის სასამართლო პალატაში განიხილეს საქმე თ. მიხეილ დავითისძე წულუკიძის, ალ. გრიცისა და მალაქია ჭუბაბრიასი, რომელთაც ბრალდებოდათ: ჭუბაბრიას თავის დაზღვეულ სახლის დაწვა და წულუკიძესა და გრიცს, ვითარცა აგენტებს საზღვევ საზოგადოებისას, თანაზიარობა და შეწევნა დამწვარ სახლის მეტ ფასად დაზღვევაში. საქმე ამ ორის წლის წინად ირჩეოდა ქუთაისის ოლქის სასამართლოში, რომელმაც გადუწყვიტა წულუკიძესა და გრიცს ყოველისავე ღირსების ახდა და ციმბირს გადასახლება, ხოლო თვით სახლის დამწველს ჭუბაბრიას სამი წლით პატიმართა როტაში გაგზავნა.

პალატაში თავმჯდომარეობდა თვით უფროსი თავმჯდომარე პალატის ბ. ვრასსკი. წევრნი პალატისა: ბ. კოლბასინი (საქმის მომხსენებელი) და ბ. სტალინსკი. ბრალ-მდებლად იყო პროკურორის ამხანაგი ბ. ხლადოვსკი. დანაშავეთ იცავდა, თ. წულუკიძეს ნაფიცი ვექილი ტერ-სტეფანოვი, გრიცს—ნაფიცი ვექილი ოპოჩინინი და ჭუბაბრიას სახელმწიფო ვექილი ყორღანოვი. ბრალ-მდებელმა ითხოვა ჭუბაბრიას შესახებ ოლქის სასამართლოს განჩინების დამტკიცება და შესახებ დანარჩენ ორთა, თავად წულუკიძისა და გრიცისა, ვითარცა არა დამნაშავეთა ამ საქმეში, სრულიად განთავისუფლება. ვექილნიც თხოულობდნენ თავიანთ რწმუნებელთა სრულს განთავისუფლებას. სასამართლო პალატამ, შემდეგ ერთი საათის და 5 წამის თათბირისა, გამოაცხადა: თავადი მიხეილ დავითის ძე წულუკიძე და მოქალაქე ალექსანდრე გრიცი განთავისუფლდნენ ყოველ სასჯელიდან, ხოლო ჭუბაბრიას, როგორც დამნაშავეს, მიესაჯოს ერთი წლისა და ოთხი თვის დატუსაღება პატიმართა როტაში.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის „ცნობის ფურცელის“ შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოგვეცხადოთ, შემდეგს პირთ, რომელთაც კეთილ-ინებეს და სოხუმის იაფ-ფასიან წიგნთსაცავ სამკითხველოს დახმარება აღმოუჩინეს შემდეგის ფასის წიგნების შემოწირვითა.

1) მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ შემოსწირა თვისნი გამოცემანი, ღირებულნი 9 მ. 80 კ, ბ-ნმა თევდორე ჟორდანიამ 3 მ. 55 კ., თ. ივანე მაჩაბელმა 1 მ. 60 კ., გიორგი ქართველიშვილმა 13 მ. 60 კ., კალერიან გუნიამ 4 მ. 50 კ., ივანე როსტომაშვილმა 2 მ., 90 კ., არჩილ დარჩიანიშვილმა 60 კ., არისტო ქუთათელაძემ 80 კ., იერემია გულისაშვილმა 1 მ., მღვდელ ვასილ კარბელაშვილმა 2 მ. 25 კ.

სოხუმის იაფ-ფასიან წიგნთსაცავ-სამკითხველოს გ ა მ გ ე ო ბ ა.

---

## საკალენდარო ცნობა

—

ნოემბერი

8 პარასკ. კრება მთავარ ანგელოზის მიხეილისა და სხვათა უხორცთა ძალთა, ღირ. მართა და მარიამისა.

9 შაბ. მოწ. ონისიფორესი, და პორფილესი, ანტონისა, ალექსანდრესი, ღირს მატრონასი.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**სალამური**

სახალხო სიმღერები, გადაღებული ნოტებზე ზ. ჩხიკვაძის მიერ

**ფასი ხუთი შაური**

(5—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 го Ноября, 1896 г· სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიგ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია